“ბიზნესმენი, რომელიც დღეს ხალხს დაშლისაკენ მოუწოდებს, უზნეო და ამორალური ადამიანია”

“არეულობა არის ბუა, რომლითაც ხელისუფლება ჩვენს საზოგადოებას აშინებს”

გაზეთი “ყველა სიახლე” – 9-15 აპრილი, 2009

”აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია!” – სამწუხაროდ, საქართველოში დღესაც აქტუალურია დიდი ილიას მიერ საუკუნის წინ ნათქვამი ეს ფრაზა”–ამბობს ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლადო პაპავა, რომელიც თავის მოსაზრებებს გვიზიარებს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე:

– ბატონო ლადო,სულ ცოტა ხნის წინ ცნობილმა ბიზნესმენმა ფადი ასლიმ ღია წერილით მიმართა ოპოზიციის ლიდერებს. მისი თქმით,საპროტესტო აქციები უდროო და სახიფათოა საქართველოს ეკონომიკისათვის, ფადი ასლის დაეთანხმა ბიზნესმენთა ერთი ნაწილიც. თქვენ რას გვეტყოდით ამ საკითხზე?

– ზოგადად თუ ვიტყვით, ნებისმიერი არასტაბილურობა პრობლემებს უქმნის ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარებას, ეს ობიექტურია, მაგრამ ჩვენ უნდა გვახსოვდეს ერთი რამ – ვინ არის საპროტესტო მუხტის შემქმნელი ქვეყანაში. მინდა შევახსენო გაზეთის მკითხველს წინა წლების მაგალითი – ოპოზიცია დიდხანს ცდილობდა ხალხის ქუჩაში გამოყვანას და ეს მან შეძლო მხოლოდ 2007 წლის ნოემბერში. მთავარი ის კი არ არის ოპოზიციას რა უნდა, მთავარი ის არის, ხალხს რა უნდა. კაცი ქუჩაში გამოდის არა ოპოზიციის მოწოდების, არამედ იმ შინაგანი პროტესტის გამო, რაც მას აწუხებს. ვინ ქმნის ამ პროტესტს – ოპოზიცია? – არა, ქმნის ხელისუფლება და ოპოზიცია იყენებს. წართმეული ქონება, დანგრეული სახლები, სამსახურიდან გამოყრილი ხალხი – ეს ყველაფერი გაკეთებულია სიძულვილით, ბოროტებით... საზოგადოებაში შეიქმნა პროტესტის განწყობა და

ხალხი სწორედ ამ განწყობამ გამოიყვანა ქუჩაში. როდესაც ბიზნესმენი, ასეთ დროს გამოდის და ხალხს მოუწოდებს შინ წადიო, ეს არის ამორალური, ეს უბრალოდ სირცხვილია! ფადი ასლის რა უნდა მოვკითხოთ, მაგრამ არ მესმის იმ ქართველი ბიზნესმენისა, ვინც მოსახლეობას დაშლისაკენ მოუწოდებს, ეს ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელი რამ არის. მათ ხალხს კი არა, ხელისუფლებას უნდა მოუწოდონ, რადგანაც დესტაბილიზაციის შემქმნელი არის ხელისუფლება და არა ოპოზიცია. წარმოიდგინეთ, ეს ბოროტებები, რომ არ ჰქონდეს ჩადენილი ამ ხელისუფლებას, რამდენი კაცი გამოვა და რამდენ ხანს გაჩერდება ქუჩაში? გავიხსენოთ ყველაზე მნიშვნელოვანი აქციები ამ ბოლო წლებში, რამდენ ხანს გასტანა ვოქვათ სალარო აპარატების გამო გამართულმა მანიფესტაციებმა? დღეს საზოგადოებაში აღარ დგას არც სალარო-აპარატების და არც დანგრეული სახლების თემა, დღეს საზოგადოებაში არის დაგროვილი ერთიანი საპროტესტო მუხტი. თუ ხელისუფლებამ იცის, რომ არაფერი ცუდი არ გაუკეთებია, ეს ხალხი 2-3 დღეში დაიშლება, მაგრამ რატომ ეშინია ხელისუფლებას ამ აქციების? – იმიტომ, რომ თვითონაც კარგად იცის რა ბოროტებაც აქვს ჩადენილი.

– სხვათა შორის იგივე პოზიცია გაიზიარა ბევრმა ბიზნემენმა, მათ შორის – თემურ ჭყონიამაც.

– ვიმეორებ, ბიზნესმენი, რომელიც ამ დროს ხალხს მოუწოდებს დაშლისაკენ, უზნეო და ამორალური ადამიანია. ის უბრალოდ ხელისუფლებასთანაა შეკრული. ამისთანა ბიზნესმენების მხრიდან მე მსგავსი განცხადებები ხშირად მომისმენია. ბიზნესმენის საქმეა აკეთოს ბიზნესი, მას სჭირდება სიმშვიდე, სტაბილურობა, მაგრამ მან უნდა იცოდეს ვინ არის ამ სტაბილურობის გარანტი, სამწუხაროდ, ჩვენი ბიზნესმენების უმეტესობა ან ოპოზიციას და ხალხს უპირისპირდება, ან საერთოდ ჩუმად არის და ბუჩქებშია შემძვრალი. ეს არც არის გასაკვირი. მე ლაპარაკიც არ მინდა იმ ადამიანებზე, ვინც სახელმწიფოდან აღებული ვალით აიწყო ბიზნესი, არ იხდიდა ვალს, ვინც ჩვენს ხარჯზე შექმნა თავისი კეთილდღეობა და რომელი ხელისუფლებაც მოვიდოდა, მისი ინტერესების მსახური ხდებოდა. გავიხსენოთ 2002 წელი და მოწოდება შევარდნაძისათვის მიეცათ უფლება მესამეჯერ ეყარა კენჭი პრეზიდენტის პოსტზე. თუ ადამიანს შუბლის ძაფი გაწყვეტილი აქვს, მასზე კომენტარის გაკეთებას საერთოდ აზრი არა აქვს. მე ძალიან მიკვირს რატომ მიდის მასმედია და რატომ ეკითხება ჭკუას ასეთ ხალხს,

ხვალ სააკაშვილი რომ აღარ იყოს და მის ნაცვლად სხვა მოვიდეს, მაშინვე მისი მეხოტბენი გახდებიან.

– როდესაც აქციები ტარდება, საზოგადოებაში ჩნდება სერიოზული შიში, რომ ეს პროცესი შეიძლება არეულობაშიც გადაიზარდოს.

– მგონი, ჩვენ თვითონ ვამწვავებთ სიტუაციას. დღეს საქართველოს ჩასაბარებელი აქვს მორიგი გამოცდა დემოკრატიულობაზე. არანაირი არეულობა არ უნდა მოხდეს. არეულობა არავის აძლევს ხელს, პირველ რიგში კი ოპოზიციას, რადგან ასეთ შემთხვევაში ის დაკარგავს ხალხის ნდობას. არეულობა არც ხელისუფლებას უნდა სურდეს. რა მოიგო ხელისუფლებამ 7 ნოემბრის აქციის დარბევით? თუ, მანამდე სააკაშვილის ხელისუფლებას მთელი მსოფლიო დემოკრატიულად თვლიდა, 7 ნოემბრის შემდეგ ეს საკითხი სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა.

ამიტომაც, არეულობა დღეს არის ის ბუა, რომლითაც ხელისუფლება საზოგადოებას აშინებს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი არის მართლმადიდებელი ქრისტიანი და არა მგონია ვინმემ ბოროტება ჩაიდინოს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის წინა დღეებში. რა თქმა უნდა, მტერს არ სძინავს, რა თქმა უნდა, ვიღაც შეეცდება ამის გაკეთებას, მაგრამ ყველაფერი თითოეული ადამიანის სიფხიზლეზეა დამოკიდებული. ვფიქრობ, რომ საქართველო შეძლებს ამ გამოცდის ჩაბარებას და თუ ვერ შეძლებს, ეს იქნება ძალიან ცუდი თითოეული ჩვენთაგანისათვის, ჩვენი ქვეყნისათვის, მისი მომავლისთვის. მე მაინც იმედს გამოვთქვამ, რომ შევძლებთ ამ გამოცდის ჩაბარებას. მთავარია, ნერვებმა არ უმტყუნოს არც ერთ მხარეს, პირველ რიგში კი – ხელისუფლებას. 7 ნოემბერს ხელისუფლებას ნერვებმა უმტყუნა, ამიტომაც დაარბიეს აქცია, რომელიც სულ მალე მშვიდობიანად დაიშლებოდა. მიუხედავად ჩემი კრიტიკული დამოკიდებულებისა, არა მგონია ხელისუფლება იმდენად სულელი გამოდგეს, რომ იგივე შეცდომა გაიმეოროს. ამიტომაც გონიერება უნდა გვეყოს. ყველას კარგად ესმის, რომ სისხლისღვრით არაფერი გადაწყდება, რომ ხალხის ცემითა და მოწამვლით პრობლემები ვერ მოგვარდება. თითოეული ადამიანი მზად უნდა იყოს აღკვეთოს პირველივე მცდელობა არეულობის შეტანისა და ნებისმიერი პროვოკაციის მოწყობისა. ჩვენს ქვეყანას აქვს დიდი ბედნიერება, რომ ჰყავდეს ისეთი სულიერი წინამძღვარი, როგორიც არის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. სამწუხაროდ, რამდენჯერმე მას არ დაუჯერა ხალხმა, ახლა მაინც გვეყოს გონიერება და დავუჯეროთ უწმინდესს.

– მართლა დამანგრეველ გავლენას მოახდენს საპროტესტო აქციები ჩვენს ეკონომიკაზე?

– რა თქმა უნდა, თუ აქციები გაგრძელდება, ის უარყოფით გავლენას მოახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე, მაგრამ კიდევ ერთხელ ვსვამ კითხვას – ვინ არის ამ აქციების გამომწვევი მთავარი მიზეზი? ერთდღიანმა აქციამ რა გავლენა უნდა იქონიოს ეკონომიკაზე, მაგრამ თუ ის გაგრძელდება, მაშინ უნდა დავსვათ კითხვა, რატომ აქვს ხალხს პროტესტის ძლიერი მუხრი, რატომ ურჩევნია ქუჩაში დგომა სახლში წასვლას და თავისი ოჯახის მიხედვას? რა, ოპოზიციამ დაუნგრია ამ ხალხს სახლები, ოპოზიციამ გაათავისუფლა სამსახურებიდან, ოპოზიციამ ჩარეცხა? ეს გაზულუქებული ელიტარული ბიზნესმენები კი ჯობია შინ ისხდნენ, ეს ქვეყანა მარტო მათი ხომ არ არის, რომ ხალხის ხარჯზე ცხოვრებაც ააწყონ და კიდევ ჭკუა დაგვარიგონ როგორ ვიცხოვროთ?

– როგორ ფიქრობთ, წავა სააკაშვილი თავისი ნებით, თუ დასავლეთის ქვეყნები აიძულებენ, რომ წავიდეს?

– იცით, მე გარკვეული გამოცდილება მაქვს პოლიტიკაში ყოფნისა. სააკაშვილი, როგორც პრეზიდენტი, აღიარა მთელმა მსოფლიომ, აღიარეს საქართველოს პარლამენტიც. ჩვენ ვცნობთ თუ არა საკუთარ ხელისუფლებას, ამას მათთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ამიტომ, პროცესები გაცილებით უფრო რთულია. ყველგან წერია, რომ არჩევნები შედგა დარღვევებით, მაგრამ სააკაშვილს, როგორც პრეზიდენტს, კრემლის გარდა ყველა ცნობს მთელ მსოფლიოში. დასავლეთი ჩაერეოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანა ალასანიას და მისი გუნდის მიერ შემოთავაზებულ გზას დაადგებოდა. რეფერენდუმის ჩატარების შემთხვევაში გამოჩნდებოდა, რომ ქვეყნის პრეზიდენტს აღარა აქვს ხალხის ნდობა, ეს იქნებოდა ოფიციალური დოკუმენტი, რომლითაც დასავლეთს დავარწმუნებდით, რომ ქვეყნის დემოკრატიული განვითარება მოითხოვს ხელისუფლების შეცვლას, მაგრამ გავიხსენოთ, ვინ ჩაშალა ეს რეფერენდუმი, ან ოპოზიციის ლიდერები როგორი აგრესიით განეწყვნენ ალასანიას მიმართ. პირველ რიგში შალვა ნათელაშვილსა და ნინო ბურჯანაძეს ვგულისხმობ. მათ პრაქტიკულად ხელი შეუშალეს დასავლეთს რეალურად ჩარეულიყო საქართველოში მიმდინარე პროცესებში. ხელი იმიტომ შეუშალეს, რომ არ უნდათ ალასანია იყოს პირველი. ამავე დროს თვითონ პრეზიდენტობის ძალზე მცირე შანსი აქვთ, რადგანც მომავალი პრეზიდენტი, ჩემი ღრმა რწმენით, დღეს თბილისში არ

იმყოფება, მაგრამ თუ სააკაშვილი გადადგა, მაშინ სწორედ ეს საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი ხდება პრეზიდენრობის ნომერ პირველი კანდიდატი. რაც უფრო დიდხანს გააგრძელებენ ერთმანეთის დაჭმას თბილისელი პოლიტიკოსები, მით უფრო მომგებიანი იქნება ეს ჩვენი ხელისუფლებისათვის.

– როგორ ფიქრობთ, რას მოუტანს ამგვარი აქციები ჩვენს ქვეყანას?

– მთავარია, პროცესები იყოს მშვიდობიანი. თანაც უნდა გავითვალისწინოთ, რომ დიდი ხნით საზოგადოების გაჩერება დიდძალ ხარჯებთან არის დაკავშირებული. მთავარია სიბრძნე და სიდინჯე. შეიძლება ეს აქციები სააკაშვილის გადადგომით დასრულდეს, მაგრამ თუნდაც ეს არ მოხდეს, მაინც დადებით შედეგებს მოიტანს. წარმოიდგინეთ, რომ არა ეს სიტუაცია, დააბრუნებდა სააკაშვილი ფიროსმანის ნახატს? იქნებ, ამის შემდეგ მაინც არ მოიწვიოს საეჭვო ყოფაქცევის მასაჟისტები უცხოეთიდან. ხელისუფლებას აუცილებლად სჭირდება სერიოზული მაკონტროლებელი ძალა. ეს ძალა არის ხალხი, ხალხის სულისკვეთების გამომხატველი კი ოპოზიციაა. სააკაშვილი თუნდაც დარჩეს, მან და მისმა ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ მის ყოველ ნაბიჯს, მის ყოველ სიტყვას, და საქციელს თვალს ადევნებს ჩვენი საზოგადოება. თუ ის ვერ შეძლებს გააკონტროლოს საკუთარი ქმედებები, ხალხის საპროტესტო ტალღა მომავალში კიდევ უფრო მწვავე ხასიათს მიიღებს.

ესაუბრა ხათუნა ჩიგოგიძე